IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება

დამტკიცებულია რექტორის 26/07/2022წ. № 241 ბრძანებით (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია
ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა:	იურიდიული სამსახური კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
დაამტკიცა:	რექტორი

დოკუმენტის ნომერი: IBSU.R1G		ვერსია: 6.00 განახლების თარიღი: 29/12/2022
შეუმოწმებელი ვერსია ☐	შემოწმებული ვერსია ☑	დამტკიცების თარიღი: 08/07/2019

იბსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.
წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.ნომერი.
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხიმგებელ ერთეულს.

შინაარსი:

ცვლილებების ნუსხა 6
თავი I. ზოგადი დებულებები 10
მუხლი 1. რეგულირების სფერო 10
მუხლი 2. უნივერსიტეტის საქმიანობის საფუძვლები 10
მუხლი 3. უნივერსიტეტის მისია და ხედვა 11
მუხლი 4. მისიის შემუშავების წესი 12
მუხლი 5. უნივერსიტეტის ღირებულებები 12
მუხლი 6. უნივერსიტეტის სტრუქტურა 13
თავი II. კოლეგიალური ორგანოები 15
მუხლი 7. ზოგადი ნაწილი 15
მუხლი 8. (ამოღებულია). 15
მუხლი 9. (ამოღებულია). 15
მუხლი 10. მმართველი საბჭო 15
თავი III. ძირითადი სტრუქტურული ერთეულები 19
მუხლი 11. ზოგადი დებულებები 19
მუხლი 12. რექტორი 19
მუხლი 13. რექტორის მდივანი 21
მუხლი 13[1]. (ამოღებულია) 22
მუხლი 14. (ამოღებულია) 22
მუხლი 14[1]. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური 22
მუხლი 14[2]. (ამოღებულია) 22
მუხლი 15. (ამოღებულია) 23
მუხლი 16. (ამოღებულია) 23
მუხლი 17. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (სკოლა) 23
მუხლი 18. დეკანი 24
მუხლი 19. დეკანის მოადილე 26
მუხლი 20. სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი 27
მუხლი 21. პროგრამის ხელმძღვანელი 28

მუხლი 22. აკადემიური და მოწვეული პერსონალი 30
მუხლი 23. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) საბჭო 33
მუხლი 24. სკოლის აფილირებული პერსონალის გაფართოებული შეხვედრა 36
თავი IV. (ამოღებულია) 37
თავი V. პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით 38
მუხლი 25. საქმიანობის სფერო და სტრუქტურა 38
მუხლი 26. ბიბლიოთეკა 39
მუხლი 27. სამეცნიერო კვლევების ცენტრები 39
მუხლი 28. სამეცნიერო პროექტებისა და ინოვაციების სამსახური 40
მუხლი 28[1]. სამეცნიერო პუბლიკაციებისა და აქტივობების სამსახური 40
მუხლი 28[2] თეზისებისა და დისერტაციების სამსახური 40
მუხლი 29. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური 41
თავი V[1] პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით 42
მუხლი 29[1]. საქმიანობის სფერო და სტრუქტურა 42
მუხლი 29.[2] ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 43
მუხლი 29.[3] სტრატეგიული განვითარების სამსახური 43
თავი VI. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) 44
მუხლი 30. საქმიანობის სფერო და სტრუქტურა 44
მუხლი 31. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) 44
მუხლი 32. კანცელარია და არქივი 45
მუხლი 32[1] ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური 45
მუხლი 33. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური 46
მუხლი 34. ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური 46
მუხლი 35. (ამოღებულია). 46
მუხლი 36. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი 46
მუხლი 37. (ამოღებულია) 46
მუხლი 38. იურიდიული სამსახური 47
მუხლი 39. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი 47
მუხლი 39[1]. IBSU აკადემია 47
მუხლი 39[2]. კარიერის დაგეგმვის სამსახური 47

მუხლი 40. ბუღალტერია 48
მუხლი 41. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური 48
მუხლი 42. შრომის უსაფრთხოების სამსახური 48
მუხლი 43. (ამოღებულია) 48
მუხლი 44. (ამოღებულია) 48
მუხლი 45. სპორტისა და კულტურული აქტივობების სამსახური 49
მუხლი 46. მომსახურების განყოფილება 49
მუხლი 46[1] მედიაცენტრი 49
თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები 50
მუხლი 47. გარდამავალი დებულებები 50
მუხლი 48. დასკვნითი დებულებები 51

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ბრძანების №	თარიღი
1.	რექტორი	239	01.11.2019
2.	რექტორი	293	27.12.2019
3.	რექტორი	12	31.01.2020
4.	რექტორი	36	17.03.2020
5.	რექტორი	110	11.11.2020
6.	რექტორი	12	25.02.2021
7.	რექტორი	71	12.07.2021
8.	რექტორი	116	20.10.2021
9.	რექტორი	117	25.10.2021
10.	რექტორი	193	20.06.2022
11.	რექტორი	241	26.07.2022
12.	რექტორი	308	17.11.2022
13.	რექტორი	355	29.12.2022

თავდაპირველი ვარიანტი: 08.07.2019

ცვლილებების ნუსხა

№	თარიღი	მუხლი/პუნქტი	შენიშვნა
01	01.11.2019	6	უნივერსიტეტის სტრუქტურა
02	01.11.2019	9.7 (a)	აკადემიური საბჭოს კომპეტენცია
03	01.11.2019	17.5 ©	ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სახელწოდება
04	01.11.2019	22.3 (f)	აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოვალეობები
05	27.12.2019	20	ფაკულტეტის მდივანი
06	27.12.2019	21	პროგრამის ხელმძღვანელი
07	27.12.2019	24	ფაკულტეტის აფილირებული პერსონალის გაფართოებული შეხვედრა
08	31.01.2020	29	საქმიანობის სფერო და სტრუქტურა
09	17.03.2020	6	უნივერსიტეტის სტრუქტურა
10	17.03.2020	9	აკადემიური საბჭო
11	17.03.2020	10	მმართველი საბჭო
12	17.03.2020	25	პრორექტორი საგარეო ურთიერთობების დარგში
13	17.03.2020	29	საქმიანობის სფერო და სტრუქტურა
14	17.03.2020	32	ინოვაციების ჰაბი
15	11.11.2020	11	ზოგადი დებულებები
16	11.11.2020	13[1]	რექტორის აპარატი
17	11.11.2020	14[1]	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
18	11.11.2020	14[2]	შიდა მონიტორინგის სამსახური
19	11.11.2020	19	დეკანის მოადილე
20	11.11.2020	20	ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი
21	11.11.2020	21	პროგრამის ხელმძღვანელი
22	11.11.2020	22	აკადემიური და მოწვეული პერსონალი
23	11.11.2020	თავი IV	პრორექტორის აპარატი საგარეო ურთიერთობების დარგში
24	11.11.2020	25	საქმიანობის სფერო და სტრუქტურა
25	11.11.2020	29	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
26	11.11.2020	30	საქმიანობის სფერო და სტრუქტურა
27	11.11.2020	35	სტუდენტურ საქმეთა სამსახური
28	11.11.2020	39[1]	უწყვეტი განათლების ცენტრი
29	11.11.2020	39[2]	კარიერის დაგეგმვის სამსახური
30	25.02.2021	25	საქმიანობის სფერო და სტრუქტურა
31	25.02.2021	28	პროექტებისა და ინოვაციების სამსახური
32	25.02.2021	28[1]	კონფერენციებისა და პუბლიკაციების სამსახური

33	12.07.2021	11	ზოგადი დებულებები (რექტორის აპარატი)
34	12.07.2021	14	ამოღებულ იქნა (სტრატეგიული განვითარების სამსახური)
35	12.07.2021	15	ამოღებულ იქნა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური)
36	12.07.2021	თავი V[1]	პრორექტორის აპარატი ხარისხის განვითარების მიმართულებით
37	20.10.2021	22	აკადემიური და მოწვეული პერსონალი
38	25.10.2021	6	უნივერსიტეტის სტრუქტურა
39	25.10.2021	7	ზოგადი ნაწილი
40	25.10.2021	8	მენეჯმენტის საბჭო
41	25.10.2021	9	აკადემიური საბჭო
42	25.10.2021	10	მმართველი საბჭო
43	25.10.2021	12	რექტორი
44	25.10.2021	13[1]	რექტორის აპარატი
45	25.10.2021	18	დეკანი
46	25.10.2021	23	ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) საბჭო
47	25.10.2021	47	გარდამავალი დებულებები
48	20.06.2022	23	ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) საბჭო
49	26.07.2022	21	პროგრამის ხელმძღვანელი
50	26.07.2022	22	აკადემიური და მოწვეული პერსონალი
51	17.11.2022	6	უნივერსიტეტის სტრუქტურა
53	17.11.2022	7	კოლეგიური ორგანოები (ზოგადი ნაწილი)
54	17.11.2022	10	მმართველი საბჭო
55	17.11.2022	11	ძირითადი სტრუქტურული ერთეულები (ზოგადი ნაწილი)
56	17.11.2022	12	რექტორი
57	17.11.2022	14[2]	შიდა მონიტორინგის სამსახური
58	17.11.2022	17	ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული
59	17.11.2022	18	დეკანი
60	17.11.2022	20	სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი
61	17.11.2022	22	აკადემიური და მოწვეული პერსონალი
62	17.11.2022	23	სკოლის საბჭო
63		თავი V	პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით

64	17.11.2022	25	პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (საქმიანობის სფერო და სტრუქტურა)
65	17.11.2022	27	სამეცნიერო კვლევების ცენტრები
66	17.11.2022	28	სამეცნიერო პრექტებისა და ინოვაციების სამსახური
67	17.11.2022	28[1]	სამეცნიერო პუბლიკაციებისა და აქტივობების სამსახური
68	17.11.2022	თავი V[1]	პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით
69	17.11.2022	29[1]	პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით (საქმიანობის სფერო და სტრუქტურა)
70	17.11.2022	30	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საქმიანობის სფერო და სტრუქტურა)
71	17.11.2022	31	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
72	17.11.2022	32	კანცელარია და არქივი
73	17.11.2022	32[1]	ადამიანური რესურსები მართვისა და განვითარების სამსახური
74	17.11.2022	36	საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი
75	17.11.2022	37	ამოღებულია (საინფორმაციო ცენტრი)
76	17.11.2022	39	საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი
77	17.11.2022	39[1]	IBSU აკადემია
78	17.11.2022	39[2]	კარიერის დაგეგმვის სამსახური
79	17.11.2022	43	ამოღებულია (ვებ-გვერდის განვითარებაზე პასუხიმგებელი პირი)
80	17.11.2022	44	ამოღებულია (დიზაინზე პასუხიმგებელი პირი)
81	17.11.2022	45	სპორტისა და კულტურული აქტივობების სამსახური
82	29.12.2023	1	რეგულირების სფერო
83	29.12.2023	2	უნივერსიტეტის საქმიანობის საფუძვლები
84	29.12.2023	6	უნივერსიტეტის სტრუქტურა
85	29.12.2023	7	კოლეგიალური ორგანოები (ზოგადი ნაწილი)
86	29.12.2023	10	მმართველი საბჭო
87	29.12.2023	11	ძირითადი სტრუქტურული ერთეულები (ზოგადი ნაწილი)
88	29.12.2023	12	რექტორი
89	29.12.2023	13[1]	რექტორის აპარატი
90	29.12.2023	18	დეკანი
91	29.12.2023	20	სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი
92	29.12.2023	21	პროგრამის ხელმძღვანელი
93	29.12.2023	23	სკოლის საბჭო

94	29.12.2023	28[1]	სამეცნიერო პროექტებისა და ინოვაციების სამსახური
95	29.12.2023	28[2]	თეზისებისა და დისერტაციების სამსახური
96	29.12.2023	29	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
97	29.12.2023	30	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) საქმიანობის სფერო და სტრუქტურა
98	29.12.2023	46[1]	მედიაცენტრი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" (შემდგომში „უნივერსიტეტი/იბსუ") სტატუსს, მიზნებსა და ამოცანებს, სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, აგრეთვე განსაზღვრავს უნივერსიტეტის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციას.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 2. უნივერსიტეტის საქმიანობის საფუძვლები

2.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ავტონომიური დაწესებულებაა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების წარმართვა.

2.2. უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა შემოქმედებით და საგამომცემლო საქმიანობას.

2.3. უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებს, უნივერსიტეტის დებულებებსა და ამ დოკუმენტს.

2.4. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი", ინგლისურად - "International Black Sea University" Limited Liability Company.; უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა – შპს „იბსუ", ინგლისურად - "IBSU" LLC.

2.5. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა.

2.6. უნივერსიტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი, საბანკო ანგარიშები, ოფიციალური ვებ-გვერდი - https:www.ibsu.edu.ge და იურიდიული პირისათვის დადგენილი სხვა ატრიბუტიკა.

2.7. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული და ინგლისური.

2.8. უნივერსიტეტი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

2.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს „მეწარმეთა შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა დებულებებით გათვალისწინებული, უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2.10. უნივერსიტეტი თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

2.11. უნივერსიტეტს, როგორც ინსტიტუციური ავტონომიის მქონე დაწესებულებას, აქვს უფლება და თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევისა და სწავლების გზები, ასევე სწავლების პროცესში დაშვების პროცედურა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. ამასთან, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს არამხოლოდ მისი ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას, არამედ თავადაც აღჭურვილია ინსტიტუციური აკადემიური თავისუფლებით, წარმოადგენდეს დამოუკიდებელ, ავტონომიური გადაწყვეტილებების მიმღებ სუბიექტს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მისია და ხედვა

3.1. მისია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა, უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. იბსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში.

3.2. ხედვა: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდება საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების, ეფექტური მენეჯმენტის, კვლევებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მხრივ, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო გარემოს შექმნას იმ მიზნით, რომ მათ მოახდინონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა და უწყვეტი სწავლების პრინციპის განხორციელება.

მუხლი 4. მისიის შემუშავების წესი

4.1. უნივერსიტეტის მისიის პროექტის შემუშავება ხორციელდება სტრატეგიული განვითარების სამსახურისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ ერთობლივად.

4.2. მისიის პროექტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ დანართი №1-ით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებს, უმაღლესი განათლების სფეროში ევროკავშირის პრიორიტეტებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას ,,საქართველო 2020“, უნივერსიტეტის SWOT ანალიზს, სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიშებს, გამოკითხვის შედეგებსა და პროგრამის ,,ბრენჩმაქკინგებს“. მისიის პროექტი წარედგინება საუნივერსიტეტო საზოგადოებას შემდგომი განხილვისათვის. საუნივერსიტეტო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, სტრატეგიული განვითარების სამსახურისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ ხორციელდება მისიის პროექტის საბოლოო ფორმულირების ჩამოყალიბება და წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად. საჯარო გაცნობის მიზნით, მისია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ელექტრონული საინფორმაციო სისტემების საშუალებით ვრცელდება სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ღირებულებები

5.1. უნივერსიტეტი, ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების პროცესში, პატივს სცემს და იცავს ღირებულებებს, როგორიცაა პატიოსნება, სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, სოციალური პასუხისმგელობა, სანდოობა, აკადემიური თავისუფლება და აზროვნება, აკადემიური პატიოსნება, კულტურათაშორისი ღირებულებები, მუდმივი განვითარება.

მუხლი 6. უნივერსიტეტის სტრუქტურა

ცვლილებები შეტანილია რექტორის ბრძანებებით: 11.11.2020, 02.02.2021, 12.07.2021, 25.11.2021, 17.11.2022, 29.12.2023




ბიზნესის სკოლა
პროგრამები
სკოლის საბჭო
სალიცენზიო საბჭო
ბიზნესის ადმინისტრირება (ინგ.)
ეკონომიკა (ინგ.& ქართ.)
მარკეტინგი (ინგ.& ქართ.)
მენეჯმენტი (ინგ.& ქართ.)
საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგ.& ქართ.)
ტურიზმი (ინგ.& ქართ.)
ფინანსები (ინგ.& ქართ.)
ბაკალავრიატი
მარკეტინგი (ინგ.)
მენეჯმენტი (ინგ.)
ფინანსები (ინგ.& ქართ.)
მაგისტრატურა
ბიზნესის ადმინისტრირება (ინგ.)
დოქტორანტურა
განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლა
პროგრამები
სკოლის საბჭო
სალიცენზიო საბჭო
თაშარ მოიშვილის ამერიკისმცოდნეობის ცენტრი
ამერიკისმცოდნეობა (ინგ.)
ინგლისური ფილოლოგია (ინგ.)
ჟურნალისტიკა (ქართ.)
საერთაშორისო ურთიერთობები (ინგ.& ქართ.)
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგ.)
ბაკალავრიატი
აშშ-ს საგარეო ურთიერთობები (ინგ.)
განათლების ადმინისტრირება (ინგ. & ქართ.)
საერთაშორისო ურთიერთობები (ინგ.)
ციფრული მედია და კომუნიკაცია (ქართ.)
ინგლისური ფილოლოგია (ინგ.)
მაგისტრატურა
ამერიკისმცოდნეობა (ინგ.)
განათლების მეცნიერებები (ინგ.)
დოქტორანტურა
სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლა
პროგრამები
სკოლის საბჭო
სამართლის კლინიკა
სამართალმცოდნეობა (ქართ.)
საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა (ქართ.)
ბაკალავრიატი
მედარებითი კომერციული სამართალი (ქართ.)
მაგისტრატურა
კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლა
პროგრამები
სკოლის საბჭო
სალიცენზიო საბჭო
კომპიუტერული მეცნიერება (ინგ. & ქართ.)
არქიტექტურა (ინგ.)
ბაკალავრიატი
კომპიუტერული მეცნიერება (ინგ.)
მაგისტრატურა
კომპიუტერული მეცნიერება (ინგ.)
დოქტორანტურა

თავი II. კოლეგიალური ორგანოები

მუხლი 7. ზოგადი ნაწილი

7.1. უნივერსიტეტის სტრუქტურაში ფუნქციონირებენ დამოუკიდებელი და ინტეგრირებული კოლეგიალური ორგანოები.

7.2. დამოუკიდებელი კოლეგიალური ორგანოა მმართველი საბჭო. დამოუკიდებელი კოლეგიალური ორგანო არ არის სხვა სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი ორგანო. დამოუკიდებელი კოლეგიალური ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი კომისიებისა და კომიტეტების შექმნის შესახებ და განსაზღვროს მისი შემადგენლობა და ფუნქციები.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

7.3. ინტეგრირებული კოლეგიალური ორგანოები არიან უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალი ორგანოები, რომელთა ძირითადი ფუნქცია არის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ინტეგრირებული კოლეგიალური ორგანოებია: ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (შემდგომში „სკოლის“) საბჭო, (სკოლის) სადისერტაციო საბჭო, (სკოლის) დარგობრივი სადისერტაციო საბჭო.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

7.4. დამოუკიდებელი და ინტეგრირებული კოლეგიალური ორგანოს შემადგენლობა და ფუნქციები განისაზღვრება წინამდებარე დებულებითა და/ან უნივერსიტეტის სხვა დებულებ(ებ)ით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 8. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

მუხლი 9. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2019 წლის 1 ნოემბრის №239 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 17 მარტის №36 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

მუხლი 10. მმართველი საბჭო

10.1. მმართველი საბჭო არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის მიზანია უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება და/ან რეკომენდაცი(ებ)ის შემუშავება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

10.2. მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან რექტორი, კანცლერი, სკოლის ორი წარმომადგენელი (დეკანი და სკოლის საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი), პრორექტორები, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

10.3. მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი განისაზღვრება რექტორის აქტით.

10.4. მმართველი საბჭოს სხდომებს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა შემადგენლობის სულ მცირე ნახევარი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოს მდივნის მიერ ფორმდება ოქმის სახით. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი და სხდომაზე დამსწრე წევრები.

10.5. საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების დღესვე, თუ სხდომის ოქმით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

10.6. საბჭოს სხდომაზე, ხმის უფლების გარეშე, შეიძლება მოწვეულ იქნან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და/ან სხვა პირები, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

10.7. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შემდეგი წესით:

10.7.1. ადმინისტრაციული თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადით;

10.7.2. თვითმმართველობის პრეზიდენტისათვის - შესაბამის პოზიციაზე ყოფნის ვადით;

10.7.3. აკადემიური პერსონალისათვის - ორი წლის ვადით. უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატი ინიშნება დარჩენილი ვადით.

10.8. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;

დ) საბჭოს სხდომების სისტემატური, არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა.

10.9. ადმინისტრაციული პოზიციის მქონე საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს პირადი განცხადება და საბჭოს სხდომების სისტემატური, არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

10.10. მმართველი საბჭოს ფუნქციები:

10.10.1. ამტკიცებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული ხასიათის დებულებებს, წესებს, ინსტრუქციებსა და გზამკვლევებს;

10.10.2. ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

10.10.3. წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;

10.10.4. ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, არჩევით საგნებს, აგრეთვე სკოლებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას სკოლის საბჭოების წარდგინებით;

10.10.5. სკოლის საბჭოს წარდგინებით განსაზღვრავს საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტის მინიჭების ან არმინიჭების საკითხს, საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტის მინიჭების შემთხვევაში ამტკიცებს კოეფიციენტებს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეული ნაწილისთვის;

10.10.6. (ამოღებულია)

10.10.7. სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კოეფიციენტებს იბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდ(ებ)ისთვის სამაგისტრო საფეხურზე;

10.10.8. ამტკიცებს სამაგისტრო პროგრამებზე სკოლაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას (სკოლის საბჭოების წარდგინებით);

10.10.9. სკოლის საბჭოს წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური კონკურსის გამოცხადების თაობაზე;

10.10.10. სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სკოლის დებულებას;

10.10.11. იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის სახელით საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების თაობაზე;

10.10.12. იღებს გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო დონეზე ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება-ჩატარებაზე;

10.10.13. ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიურ კალენდარს;

10.10.14. აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში სკოლის საბჭოების წარდგინებით;

10.10.15. სტრატეგიული განვითარების სამსახურის წარდგინების საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების შესრულების პროცესს.

10.10.16. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, უნივერსიტეტის დებულებებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 17 მარტის №36 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

თავი III. ძირითადი სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

11.1. ძირითად სტრუქტურულ ერთეულებში შედის რექტორის აპარატი, საერთაშორისო ურთიერთობების და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (სკოლები).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 12 ივლისის №71 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

11.2. ძირითადი სტრუქტურული ერთეულები ანგარიშვალდებულები არიან რექტორის წინაშე.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

მუხლი 12. რექტორი

12.1. რექტორი არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და ამავდროულად მმართველი საბჭოს თავმჯდომარე.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

12.2. ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით რექტორი პასუხიმგებელია უნივერსიტეტის პარტნიორთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

12.3. რექტორის ფუნქციები:

12.3.1. ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის საქმიანობასა და წარმართავს მის ზოგად პოლიტიკას;

12.3.2. წარმოადგენს უნივერსიტეტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მესამე პირებთან ურთიერთობაში;

12.3.3. იღებს გადაწყვეტილებებს სტრატეგიულ ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხზე, ასევე სტრატეგიულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საკითხებზე უნივერსიტეტის მმართველ საბჭოსთან შეთანხმებით;

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

12.3.4. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

12.3.5. დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საკადრო საკითხებზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დებულებით პირდაპირ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის სხვა ორგანო(ებ)ის თანხმობა /წარდგინება ან ხორციელდება აკადემიური კონკურსის წესით პერსონალის მიღება) და ისეთ საკითხებზე, რომელიც არ საჭიროებს მმართველ საბჭოსთან შეთანხმებას;

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

12.3.6. გამოსცემს ბრძანებებს;

12.3.7. იწვევს და თავმჯდომარეობს მმართველ საბჭოს;

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

12.3.8. ხელს აწერს გასულ კორესპონდენციას და (დეკანებთან ერთად) სტუდენტების დიპლომებს;

12.3.9. უზრუნველყოფს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან, ასევე მასმედიასთან თანამშრომლობას;

12.3.10. დებს გარიგებებს, გასცემს პროკურასა და მინდობილობებს და აუქმებს მათ;

12.3.11. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებას;

12.3.12. სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე აყენებს უნივერსიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების შეძენის, გაყიდვისა და გასხვისების საკითხს;

12.3.13. ახორციელებს უნივერსიტეტის ფინანსურ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას;

12.3.14. წყვეტს სტუდენტთა და თანამშრომელთა წახალისების და დაწინაურების საკითხებს;

12.3.15. ქმნის დროებით კომისიებს სხვადასხვა საკითხის შესწავლის მიზნით;

12.3.16. იხილავს უნივერსიტეტში შემოსულ კორესპონდენციას;

12.3.17. ზედამხედველობს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დებულებების შესრულებას;

12.3.18. ადგენს და ამტკიცებს უნივერსიტეტის წლიურ გეგმებს და წარუდგენს მათ სამეთვალყურეო საბჭოს შესათანხმებლად;

12.3.19. წარუდგენს უნივერსიტეტის საქმიანობის წლიურ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს;

12.3.20. ადმინისტრაციის უფროსის (კანცლერის) და სტუქტურული ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს;

12.3.21. ყოველი აკადემიური წლის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს და შეიმუშავებს შემდგომში განსახორციელებელი აქტივობების ძირითად მიმართულებებს;

12.3.22. ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შიდა აქტებით განსაზღვულ უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 13. რექტორის მდივანი

13.1. რექტორის მდივანი ხელს უწყობს რექტორს მის ყოველდღიურ საქმიანობაში.

13.2. რექტორის მდივნის ფუნქციები:

13.2.1. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რექტორისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური, ადმინისტრაციული და საინფორმაციო მომსახურების გაწევას და მუშაობის აუცილებელი პირობებს;

13.2.2. უზრუნველყოფს ეფექტური კომუნიკაციას და ინფორმაციის გაცვლას რექტორსა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო/კვლევითსა და ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის;

13.2.3. გეგმავს რექტორის შეხვედრებს და აგვარებს შესაბამის ორგანიზაციულ საკითხებს;

13.2.4. მართავს საქმიან კორესპონდენციას და რექტორის თანხმობის შემთხვევაში, შესაბამის რეაგირებას ახდენს რექტორის სახელზე შემოსულ მოსაწვევ და მოსალოც ბარათებზე;

13.2.5. უზრუნველყოფს რექტორის მოხსენებების, გამოსვლების, ანგარიშების მომზადების ორგანიზებას;

13.2.6. ორგანიზებას უწევს საზღვარგარეთის ქვეყნების და ადგილობრივი ოფიციალური დელეგაციების, მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისა და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიღებას;

13.2.7. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 13[1]. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 14. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 12 ივლისის №71 ბრძანებით.

მუხლი 14[1]. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

14[1]. 1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვის ხელშეწყობას ყოველდღიურ აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში, უნივერსიტეტის ღირებულებებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულების გათვალისწინებით.

14[1].2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ფუნქციები და მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

მუხლი 14[2]. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 15. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 12 ივლისის №71 ბრძანებით.

მუხლი 16. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 17. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (სკოლა)

17.1. სკოლა არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. ამ მიზნით, სკოლა ვალდებულია, შექმნას სტუდენტისა და სკოლის პერსონალისათვის სათანადო აუცილებელი პირობები სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელებისათვის, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მუდმივად განვითარებადი გარემოს მეშვეობით, განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე.

17.2. სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლება როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, (განურჩევლად იმისა, თუ რა დატვირთვით ახორციელებს იგი აკადემიურ საქმიანობას უნივერსიტეტში), ისე სტუდენტებისათვის.

17.3. აკადემიური თავისუფლება აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის გულისხმობს სწავლების პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, სრულ ჩაურევლობას სწავლების, კვლევების, დისკუსიებისა და პუბლიკაციების ნაწილში, ხოლო სტუდენტებისათვის - სწავლის პროცესში თავისუფლებას, ასევე პერსონალისა და სტუდენტების დაცვას მათზე ნებისმიერი ფორმის ზეგავლენის მცდელობისაგან, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე უნივერსიტეტის გარეთ, რამაც პირდაპირ ან არაპიდაპირ შეიძლება შელახოს მათი აკადემიური თავისუფლება.

17.4. ამ მუხლით გარანტირებული სტუდენტების აკადემიური თავისუფლება არ გამორიცხავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის უფლებას, სწავლების პროცესში მოითხოვოს სტუდენტისაგან, დაემორჩილოს აკადემიური პროცესის წარმართვისათვის დადგენილ მოთხოვნებს, მოსთხოვოს სტუდენტს შეასრულოს ნაშრომი იმ ჭრილში, რომელიც გამყარებულია კონკრეტული პედაგოგიური მიზნებით, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა სტუდენტი აღნიშნულ მოთხოვნებს, სწავლების პროცესში შეაფასოს სტუდენტის მუშაობა მისი დამოუკიდებელი, პროფესიული გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის დებულებების გათვალისწინებით, მოსთხოვოს სტუდენტს დამატებითი სამუშაოს შესრულება, თუკი აღნიშნულის საჭიროება გამოწვეულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად და მოითხოვოს სტუდენტებისგან ყველა იმ შეზღუდვის გათვალისწინება, რაც დადგენილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მისაღწევად, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების საფუძველზე.

17.5. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (სკოლა):

ა) სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლა;

ბ) ბიზნესის სკოლა;

გ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებების სკოლა;

გ) კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტეტურის სკოლა.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2019 წლის 1 ნოემბრის №239 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 18. დეკანი

18.1. დეკანი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის – სკოლის - ხელმძღვანელი. დეკანი პასუხს აგებს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმიანობაზე და წარმოადგენს სკოლას, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე უნივერსიტეტის გარეთ, საჭიროების შემთხვევაში.

18.2. დეკანი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

18.3. სკოლის დეკანი წარმართავს და კოორდინირებას უწევს სკოლის საქმიანობას, რისთვისაც:

18.3.1. ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებისა და პოპულარიზაციის პროცესს, უნივერსიტეტის სტატეგიული გეგმის შესაბამისად წარმართავს სკოლის საქმიანობას;

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

18.3.2. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის პერსონალის დანიშვნის, გათავისუფლების, დაწინაურებისა და კომპენსაციის გადახდის შესახებ და წარუდგენს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურს, აგრეთვე ჩართულია ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცესში (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად);

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

18.3.3. ავითარებს და კოორდინირებას უწევს საგანმანათლებლო პოლიტიკას;

18.3.4. კოორდინირებას უწევს სკოლის დონეზე საგარეო ურთიერთობების განვითარებას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მხარდაჭერით, სტუდენტებისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობის შექმნის მიზნით;

18.3.5. გეგმავს, ავითარებს და ზედამხედველობას უწევს სკოლის ბიუჯეტს, მიმართავს წინადადებით მმართველ საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამების საფასურთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

18.3.6. აწყობს შეხვედრებს სკოლის პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით სკოლისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ, ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს;

18.3.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, კოორდინირებას უწევს სასწავლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესს, აფასებს სკოლის საერთო შედეგიანობას სწავლების, კვლევისა და მომსახურების კუთხით;

18.3.8. ზედამხედველობას უწევს, აფასებს და უზრუნველყოფს სკოლაში მაღალი დონის სწავლების, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებას;

18.3.9. ხელს აწერს დიპლომებს (რექტორთან ერთად);

18.3.10. იწვევს და ხელმძღვანელობს სკოლის საბჭოს სხდომებს;

18.3.11. პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, კოორდინირებას უწევს პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საკითხს, უნივერსიტეტის წესების შესაბამისად, და აწვდის ინფორმაციას კანცელარიას შრომითი ხელშეკრულების/ სემესტრული შეთანხმებების მომზადების მიზნით;

18.3.12. ზედამხედველობს სტუდენტური მონაცემთა ბაზის მომზადების პროცესს რეგისტრაციის პროცესის დაწყებამდე;

18.3.13. სკოლის წევრებს აწვდის ინფორმაციოას უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ;

18.3.14. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 19. დეკანის მოადილე

19.1. დეკანის მოადგილე არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც ეხმარება დეკანს სკოლის მართვაში. დეკანის არ ყოფნის ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში წარმოადგენს სკოლას. დეკანთან შეთანხმებით წარმართავს და კოორდინირებას უწევს სკოლის საქმიანობას. დეკანის მოადგილე ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.

19.2. დეკანის მოადგილის ფუნქციები:

19.2.1. პასუხიმგებელია სკოლის სამეცნიერო ჟურნალებისა და სკოლის კონფერენციების ორგანიზება - განხორციელებაზე - შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით;

19.2.2. სკოლის საქმიანობის სრულყოფილი განხორციელებისათვის თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სრუქტურებულ ერთეულებთან (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, კურსდათავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, კარიერის დაგეგმვის სამსახური, ტექნიკური სამსახური და სხვ.);

19.2.3. გეგმავს და ორგანიზებას უწევს სკოლის ფარგლებში განხორციელებული კურისკულუმისგარეშე აქტივობებს;

19.2.4. ახორციელებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასა და კონტროლს;

19.2.5. ზედამხედველობს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ სკოლის სალექციო და საკონსულტაციო ცხრილის მომზადებისა და შესრულების პროცესს;

19.2.6. ზედამხედველობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებას.

19.2.7. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს სხვა მოვალეობებს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 20. სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი

20.1. სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი არის სკოლის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას. დეკანის გადაწყვეტილებით, სკოლის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი ამავდროულად არის სკოლის საბჭოს მდივანი.

20.2. სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.

20.3. სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერის ფუნქციები:

20.3.1. სკოლის საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებებს აფორმებს ოქმის სახით;

20.3.2. აარქივებს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებებს;

20.3.3. შესაბამის სამსახურს ელექტრონული ფორმით აწვდის სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებების ასლებს.;

20.3.4. არეგისტრირებს და საჭიროების შემთხვევაში სკოლის საბჭოზე წარადგენს სკოლაში შემოსულ განცხადებებსა და დოკუმენტაციას;

20.3.5. ინახავს და საჭიროების შემთხვევაში აარქივებს სკოლის დოკუმენტაციას;

20.3.6. ამზადებს და ელექტრონულად ჯავშნის სკოლის სხვადასხვა აქტივობებისა და კონფერენციებისათვის შესაბამის აუდიტორიებს, საკონფერენციო და სასემინარო დარბაზებს;

20.3.7. გეგმავს დეკანთან და დეკანის მოადგილესთან შეხვედრებს;

20.3.8. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სტუდენტებისა და ლექტორებისათვის პერსონალურად და ტელეფონით/ელ-ფოსტით კონსულტაციის გაწევას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის უფლებამოსილ პირთან გადამისამართებას;

20.3.9. სკოლაში შემოსულ, გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ, განცახდებებს განსახილველად წარუდგენს სკოლის საბჭოს, ხოლო სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებას აცნობებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს;

20.3.10. ანთავსებს სიახლეებს, ინფორმაციას, ცვლილებებსა და ფოტომასალას სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში, ასევე ახორციელებს ვებ-გვერდისა და სოციალური გვერდის ტექნიკური, შინაარსობრივი და ესთეტიკური მხარის უზრუნველყოფის ხელშეწყობას;

20.3.11. კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №293 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 21. პროგრამის ხელმძღვანელი

21.1. პროგრამის ხელმძღვანელი არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებას, განხორციელებასა და განვითარებას.

21.2. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 26 ივლისის №241 ბრძანებით.

21.3. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები:

21.3.1. უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, განვითარებასა და მასში შესატანი ცვლილებების ინიცირებას, საჭიროების შემთხვევაში;

21.3.2. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ადგენს შედარების აქტებს;

21.3.2[1] ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს;

21.3.3. ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებასა და მდგრადობაზე (მათ შორის, უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსის მოძიებას);

21.3.4. კოორდინირებას უწევს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პერსონალს შორის კომპონენტების განაწილებას და წარუდგენს დეკანს ინფორმაციას შრომითი ხელშეკრულების/ სემესტრული შეთანხმებების მომზადების მიზნით;

21.3.5. საჭიროების შემთხვევაში, ესწრება პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სალექციო პროცესს, სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით;

21.3.6. სტუდენტებთან და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს;

21.3.7. უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში კონფერენციების, შეხვედრების, საჯარო ლექციებისა და სხვა საგანამანთლებლო და კვლევითი ხასიათის აქტივობების ორგანიზება-განხორციელებას დეკანის მოდგილესთან ერთად;

21.3.8. ზრუნავს პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის/ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტების განვითარებაზე;

21.3.9. უზრუნველყოფს ავტორიზაცია - აკრედიტაციის საჭირო დოკუმენტაციის სრული პაკეტის მომზადებასა და შესაბამისი პირებისათვის მიწოდებას;

21.3.10. პროგრამის განვითარების მიზნით უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას;

21.3.11. ზედამხედველობას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ შედარების აქტების, სასწავლო კომპონენტების ბაზების, დიპლომისა და დიპლომის დანართის მომზადების პროცესის შინაარსობრივ მხარეს;

21.3.12. ზედამხედველობს პროგრამის სტუდენტების რეგისტრაციის პროცესს, ასევე კონსულტაციას უწევს პროგრამის სტუდენტებს სასწავლო კომპონენტის არჩევისა და რეგისტრაციის პროცესში;

21.3.13. ეხმარება გაცვლითი პროგრამის მიზნებისათვის შერჩეულ სტუდენტს მასპინძელ უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო კურსების/კომპონენტების შერჩევაში სტუდენტის გამგზავრებამდე და გამგზავრების შემდეგ;

21.3.14. მონიტორინგს უწევს ლექტორის მიერ შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადების პროცესს;

21.3.15. მონიტორინგს უწევს სილაბუსებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადანაწილების ლოგიკურობას. საჭიროების შემთხვევაში, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაკორექტირებას ახდენს კომპონენტის განმახორციელებელი პირის (ლექტორის) ჩართულობით;

21.3.16. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №293 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 22. აკადემიური და მოწვეული პერსონალი

22.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი წარმოადგენს უნივერსიტეტის პერსონალის იმ ნაწილს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ და/ან წარმართავენ სასწავლო, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

22.2. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შესაძლებელია ამავდროულად უნივერსიტეტში ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.

22.3. მოწვეული ლექტორის/დროებითი მოწვეული ლექტორის ფუნქციები:

22.3.1. ჩაატაროს ლექციები სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და დარგის თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებით;

22.3.2. დაიცვას უნივერსიტეტის შესაბამისი აქტებით განსაზღვრული შრომის ეთიკა და დისციპლინა;

22.3.3. მოამზადოს სილაბუსები უნივერსიტეტის ფორმატის მიხედვით და წარუდგინოს ისინი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ასევე სემესტრის პირველი კვირის განმავლობაში მიაწოდოს ისინი სტუდენტებს და უზრუნველყოს შესაბამისი განმარტებების მიცემა;

22.3.4. უზრუნველყოს დისციპლინა ლექციებსა და გამოცდებზე;

22.3.5. აუხსნას სტუდენტებს გამოცდებსა და ლექციებზე დისციპლინის დარღვევის შედეგები;

22.3.6. აღრიცხოს დასწრება ყოველ ლექციაზე. ლექტორი ვალდებულია სემესტრის ბოლოს პირადად ჩააბაროს დასკვნითი გამოცდის ნაწერები და პასუხები არქივზე პასუხისმგებელ პირს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

22.3.7. პირადად შეიტანოს მონაცემთა ბაზაში საჭირო ინფორმაცია სტუდენტების შეფასების თაობაზე. შუალედური შეფასება მონაცემთა ბაზაში ასახოს (შენახვის ღილაკის გამოყენებით) დასკვნითი გამოცდების კვირის დაწყებამდე;

22.3.8. მოამზადოს საგამოცდო საკითხები და აკადემიური სემესტრისათვის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ყველა შესაბამისი საბუთი;

22.3.9. გამოცდამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე მოამზადოს საგამოცდო საკითხები და მოამზადოს ერთი და იგივე გამოცდის რამდენიმე ვერსია, თუ სტუდენტები აბარებენ გამოცდას სხვადასხვა დროს;

22.3.10. მოამზადოს ახალი საგამოცდო საკითხები ყოველი ახალი აკადემიური წლისათვის;

22.3.11. თუ ლექტორი უშუალოდ ვერ ესრება გამოცდას, ჩააბაროს საგამოცდო საკითხები პასუხებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრულ პირს;

22.3.12. შეამოწმოს საგამოცდო ნაწერები და 5 კალენდარული დღის განმავლობაში შეიტანოს შედეგები მონაცემთა ბაზაში და 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჩააბაროს შესაბამისი დოკუმენტაცია არქივზე პასუხიმგებელ პირს. გამოცდის ოფიციალური ანგარიში ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედეგები შეტანილია მონაცემთა ბაზაში, ამობეჭდილია და ხელმოწერილია ლექტორის მიერ;

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით.

22.3.13. გამოყოს სტუდენტებისათვის მინიმუმ ერთი საკონსულტაციო საათი კვირის განმავლობაში;

22.3.14. შეავსოს და წარადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია და ფორმები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნით დაგვიანების გარეშე;

22.3.15. საჭიროების შემთხვევაში, საშუალება მისცეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს შეაფასონ მის მიერ ლექციის ჩატარების ხარისხი. სხვა აკადემიურ პერსონალს შეუძლია, ერთმანეთის ლექციებზე დასწრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

22.3.16. გაეცნოს უნივერსიტეტის დებულებებს, დისციპლინურ და ეთიკის ნორმებს;

22.3.17. სტუდენტთან უკუგების დამყარების მიზნით, სტუდენტს გააცნოს შეფასებები და მასთან ერთად განიხილოს ნამუშევრები;

22.3.18. სტუდენტების მიერ ლექციის გაცდენის შემთხვევაში, თითოეული სალექციო საათის პირველი 15 წუთი დაყოვნდეს აუდიტორიაში.

22.3.19. საგამოცდო პროცესის მეთვალყურეობის მიზნით, დაესწროს მის მიერ განხორციელებული კომპონენტის შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. დისციპლინული დარღვევის არსებობის შემთხვევაში, შეავსოს შესაბამისი ოქმი და წარუდგინოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

22.3.20. შეასრულოს მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის №116 ბრძანებით.

22.4. აკადემიური პერსონალის ფუნქციები:

22.4.1. შეასრულოს 22.3 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციები;

22.4.2. გამოაქვეყნოს კვლევითი ნაშრომები და დაესწროს აკადემიურ სემინარებსა და კონფერენციებს;

22.4.3. საჭიროების შემთხვევაში, დაესწროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს;

22.4.4. ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომლებიც ადასტურებს მის აკადემიურ წარმატებებს;

22.4.5. პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი ვალდებულია, უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესით, უხელმძღვანელოს აკადემიური თანამდებობის პოზიციაზე მყოფ ასისტენტს.

22.5. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში, ასევე უნივერსიტეტში განახორციელოს ძირითადი საგანმანათლებლო, კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობა, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესით, ასევე შეასრულოს მასთან გაფორმებული აფილირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები.

22.6. აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის, უნივერსიტეტთან აფილირება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას, აფილირების პირობით აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, აფილირების გაუქმება იწვევს შრომითი ურთიერთობის გაუქმებას. გამონაკლისი ამ წესიდან განისაზღვრება ,,სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების თანმდებობაზე დანიშვნის წესით (R19) განსაზღვრული პირობებითა და წესებით.

{ცვლილება გავრცელდეს 2020 წლის შემოდგომის სემესტრიდან გაუქმებულ აფილირების შეთანხმებებზე, რომლებსაც არ გამოუწვევია დაკავებული აკადემიური თანამდებობის გაუქმება}.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2019 წლის 1 ნოემბრის №239 ბრძანებით.
ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 26 ივლისის №241 ბრძანებით.

მუხლი 23. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) საბჭო

23.1. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) საბჭო არის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების/პროგრამული მიმართულებების ფარგლებში აკადემიური მუშაობის კოორდინირებას, სკოლის აკადემიური კორპუსის შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და ხელს უწყობს სკოლის დეკანს საგანმანათლებლო ერთეულს მიკუთვნებული ფუნქციების განხორციელებაში.

23.2. სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის დეკანი, დეკანის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელები, სკოლის პროფესორთა, ასოცირებულ პროფესორთა, ასისტენტ-პროფესორთა და ასისტენტთა წარმომადგენლები და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

23.3. სკოლის საბჭოს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს სკოლის დეკანი, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე.

23.4. სკოლის საბჭოში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობს სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს სკოლის საბჭოს მდივანს.

23.5. სკოლის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა შემადგენლობის სულ მცირე ნახევარი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი და სხდომაზე დამსწრე წევრები.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

23.6. სკოლის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის საბჭოს წევრთა მიერ ოქმის ხელმოწერისთანავე, თუ სხდომის ოქმით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

23.7. სკოლის საბჭოში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მიზნით, 2 წელიწადში ერთხელ ტარდება აკადემიური პერსონალის არჩევნები, რომლის შედეგად ვლინდება აკადემიური პერსონალის არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წარმომადგენელი.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

23.8. სკოლის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების მონაწილეობის მიზნით არჩევნები ტარდება შემდეგი წესით:

23.8.1. არჩევნების ორგანიზებას ახდენს სკოლა (განსაზღვრავს არჩევნების ჩატარების თარიღს, ფორმატს, არჩევნების შედეგად გამოსავლენი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების რაოდენობა, კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და კომისიის სხვა წევრების ვინაობას).

23.8.2. არჩევნების შედეგად ვლინდება აკადემიური პერსონალის წარმომადგენელები.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

23.8.3. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს სკოლის ყველა აკადემიურ პერსონალს.

23.8.4. კანდიდატი ვერ იქნება პირი, რომელიც ამავე სკოლის საბჭოში შედის ადმინისტრაციული პერსონალის სტატუსით.

23.8.5. კანდიდატს არ აქვს ხმის უფლება საკუთარი კანდიდატურის მიმართ.

23.8.6. არჩევნები ჩატარებულად ითვლება თუ მასში მონაწილეობას მიიღებს სკოლის აკადემიური პერსონალის სულ მცირე ნახევარზე მეტი.

23.8.7. გამარჯვებულია კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს ხმათა უმრავლესობას.

23.8.8. არჩევნების შედეგები ფორმდება ოქმის სახით.

23.8.9. არჩევნების შედეგებს ამტკიცებს სკოლის საბჭო.

23.8.10. არჩეული წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადა არის 2 (ორი) წელი. ამასთან, თუ ამ პერიოდის განმავლობაში მისი უფლებამოსილება შეწყდა, ტარდება ხელახალი არჩევნები დარჩენილი ვადით აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის გამოვლენის მიზნით.

23.9. საბჭოს სხდომაზე, ხმის უფლების გარეშე, შეიძლება მოწვეულ იქნან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და სხვა პირები, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით და/ან მმართველი საბჭოს ინიციატივით.

23.10. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შემდეგი წესით:

23.10.1. ადმინისტრაციული თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადით;

23.10.2. თვითმმართველობის წარმომადგენლისათვის - შესაბამის პოზიციაზე ყოფნის ვადით;

23.10.3. აკადემიური პერსონალისათვის - 2 (ორი) წლის ვადით.

23.11. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;

დ) საბჭოს სხდომების სისტემატური, არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

23.12. ადმინისტრაციული პოზიციის მქონე საბჭოს წევრი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს პირადი განცხადება და საბჭოს სხდომების სისტემატური, არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

23.13. სკოლის საბჭოს ფუნქციები:

23.13.1. შეიმუშავებს და მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებსა და პროექტებს;

23.13.2. განიხილავს საბაკალავრო პროგრამაზე საპატიო მიზეზით გაცდენილი შუალედური გამოცდის/დასკვნითი შეფასების სანაცვლოდ აღდგენით გამოცდაზე/შეფასებაზე სტუდენტების დაშვების საკითხს;

23.13.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს სკოლის სტუდენტთა და თანამშრომელთა (ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის) განცხადებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

23.13.4. განსაზღვრავს და უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარით განსაზღვრულ ინფორმაციას.

23.13.5. აკადემიური კონკურსის გამოცხადების მიზნით, განსაზღვრავს ვაკანტურ ადგილებს და უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს წარუდგენს მონაცემებს კონკურსის გამოსაცხადებლად;

23.13.6. განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში და წარუდგენს მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად;

23.13.7. შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს კანცლერს;

23.13.8. იღებს გადაწყვეტილების სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის თაობაზე;

23.13.8[1]. ამტკიცებს სკოლის სამეცნიერო ჟურნალ(ებ)ის დებულებ(ებ)სა და სარედაქციო კოლეგი(ებ)ის წევრებს;

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 20 ივნისის №193 ბრძანებით.

23.13.9. ახორციელებს ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ – (R3) ,,სამაგისტრო სწავლების დებულებით“ (R4) და ,,სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“(R5) მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

23.13.10. ახორციელებს „პერსონალის მართვის პოლიტიკითა“- R24 და ,,სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესით“- R7 განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

23.13.11. ახორციელებს ,,სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების თანამდებობაზე დანიშვნის წესით“ (R19) განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

23.13.12. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 24. სკოლის აფილირებული პერსონალის გაფართოებული შეხვედრა

24.1. უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის საგანმანათლებლო და კვლევით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, დეკანის ინიციატივით ტარდება სკოლის აფილირებული პერსონალის გაფართოებული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს სკოლის ყველა აფილირებული პერსონალი.

24.2. გაფართოებულ შეხვედრაზე განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის ერთობლივი კვლევებისა და პროექტების შესაძლებლობები, ერთობლივი კომპონენტების განხორციელების შესაძლებლობები საუნივერსიტეტო დონეზე, სასწავლო და კვლევითი პროცესის გაუმჯობესებისაკენ მიმართული აქტივობები, არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

24.3. შეხვედრის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს დეკანი და სკოლის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი.

24.4. სკოლის აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება, დეკანის მიერ წარედგინება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისათვის.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №293 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

თავი IV. (ამოღებულია)

თავი V. პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით

მუხლი 25. საქმიანობის სფერო და სტრუქტურა

25.1. პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც უზრუნველყოფს, უნივერსიტეტში სწავლების, კვლევისა და ინოვაციების განვითარებასა და ხელშეწყობას. უნივერსიტეტში კვლევითი მიმართულების განვითარების მიზნით, სხვა აქტივობებთან ერთად პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით ასევე ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების მოძიებას, საპროექტო წინადადების მომზადებასა და ახდენს აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლებას სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების კუთხით.

25.2. სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით პრორექტორის უშუალო დაქვემდებარებაში შედის ბიბლიოთეკა, სამეცნიერო კვლევების ცენტრები, სამეცნიერო პროექტებისა და ინოვაციების სამსახური, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და აქტივობების სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, თეზისებისა და დისერტაციების სამსახური.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №12 ბრძანებით

25.3. სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით პრორექტორის ფუნქციები:

25.3.1. გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს კომპეტენციის შესაბამისად უნივერსიტეტის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს;

25.3.2. ახორციელებს მის სტრუქტურაში შემავალ თანამშრომლებზე კონტროლს და შრომის გადანაწილებას, უზრუნველყოფს სამუშაო დისციპლინას და თანამშრომელთა მუდმივი განვითარების ხელშეწყობას;

25.3.3. მისი საქმიანობის სრულყოფილი განხორციელებისათვისა და განვითარებისათვის ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს;

25.3.4. კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ურთიერთობასა და თანამშრომლობას სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებთან, ორგანიზებას უწევს პროექტებს, შეხვედრებსა და ფორუმებს;

25.3.5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ცვლილება შეტანილია რექტორის 2020 წლის 31 იანვრის №12 ბრძანებით

ცვლილება შეტანილია რექტორის 2020 წლის 17 მარტის №36 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 26. ბიბლიოთეკა

26.1. ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოგრაფიული ფონდი _ საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, აგრეთვე ისტორიული, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა.

26.2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციულ ორგანოს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები სტუდენტების, უნივერსიტეტის პერსონალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

26.3. ბიბლიოთეკის საქმიანობის წესი განისაზღვრება ,,ბიბლიოთეკის დებულებით“ (R10).

მუხლი 27. სამეცნიერო კვლევების ცენტრები

27.1. სამეცნიერო კვლევების ცენტრების მიზანია, სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდის ფორმატის მქონე დისკუსიების მეშვეობით, გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ხარისხი, რომლის პროცესშიც უნივერსიტეტის დარგის სპეციალისტი აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებთან ერთად, ჩაერთვებიან ზემოხსენებულ საქმიანობაში. აგრეთვე ხელი შეუწყოს სტუდენტებს გამოცდილების მიღებაში, ურთიერთპროფესიული ინტერაქტიური კომუნიკაციის დამყარებაში, პრობლემების გადაჭრასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

27.2. სამეცნიერო კვლევების ცენტრების შექმნისა და საქმიანობის წესი, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია „სამეცნიერო კვლევების ცენტრების დებულებით“ (R12).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 28. სამეცნიერო პროექტებისა და ინოვაციების სამსახური

28.1. სამეცნიერო პროექტებისა და ინოვაციების სამსახური წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით პრორექტორის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ძირითადი მიზანია სკოლებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობით ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების მოძიება, დაგეგმვა და განხორციელება.

28.2. სამეცნიერო პროექტებისა და ინოვაციების სამსახურის ფუნქციები და მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №12 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 28[1]. სამეცნიერო პუბლიკაციებისა და აქტივობების სამსახური

28[1].1. სამეცნიერო პუბლიკაციებისა და აქტივობების სამსახური წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით პრორექტორის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ძირითადი მიზნებია კონფერენციების ორგანიზება, უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალებისა და წიგნების გამოცემა, ამ მიზნით სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის საქმიანობის განხორციელებას.

28[1].2. სამეცნიერო პუბლიკაციებისა და აქტივობების სამსახურის ფუნქციები და მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №12 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 28[2] თეზისებისა და დისერტაციების სამსახური

28.1[2] თეზისებისა და დისერტაციების სამსახური არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტზე დარეგისტრირებული სტუდენტისათვის აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის განხორციელებას, ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევით კომპონენტის ეფექტიან განხორცილებას. მუდმივად ავითარებს აკადემიური კეთილსინდისიერების კომპონენტსა და ზრუნავს ამ მიმართულებით საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის ცნობიერების ამაღლებაზე.

28.2[2] თეზისებისა და დისერტაციების სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

მუხლი 29. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

29.1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ახორციელებს სტუდენტების (მათ შორის მასწავლებლოს მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირი) მიერ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციას, სტუდენტთა სიების დადგენას, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, უნივერსიტეტში ჩატარებული გამოცდების შედეგების შეჯამებას, სტუდენტთა პირადი საქმეების მიღებასა და შენახვას, სტუდენტთა სასწავლო ბარათების შედგენას, აგრეთვე კონტროლს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესრულებაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე უზრუნველყოფს გამოცდების ორგანიზება-ჩატარებას.

29.2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2) და „გამოცდების ჩატარების წესით“ (R3I1).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

თავი V[1] პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით

მუხლი 29[1]. საქმიანობის სფერო და სტრუქტურა

29.[1]1 პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მექანიზმების და სისტემების დანერგვას და გაუმჯობესებას; ხელმძღვანელობს პროცესებს, რომლებიც განავითარებს და აუმჯობესებს უნივერსიტეტში ხარისხის მართვის სისტემას, ამაღლებს უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობას QM-სისტემაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების განვითარებას.

29.[1]2 ხარისხის განვითარების მიმართულებით პრორექტორის უშუალო დაქვემდებარებაში შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

29.[1]3 ხარისხის განვითარების მიმართულებით პრორექტორის ფუნქციები:

29.[1].3.1გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს კომპეტენციის შესაბამისად უნივერსიტეტის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ განხორცი ელებულ ღონისძიებებს;

29.[1]3.2ახორციელებს მისი აპარატის სტრუქტურაში შემავალ თანამშრომლე ბზე კონტროლს და შრომის გადანაწილებას, უზრუნველყოფს სამუშაო დისციპლინას და თანამშრომელთა მუდმივი განვითარების ხელშეწყობას;

29.[1]3.3.აპარატის საქმიანობის სრულყოფილი განხორციელებისათვისა და გ ანვითარებისათვის ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს;

29.[1]3.4. კომპეტენციის ფარგლებში წარადგენს უნივერსიტეტს და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ურთიერთობასა და თანამშრომლო ბას სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებთან, ორგანიზებას უწევს პროექტებს, შეხვედრებსა და ფორუმებს;

29.[1]3.5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლება-მოსილებებს.

მუხლი 29.[2] ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

29.[2]1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაა განახორციელოს ღონისძიებები სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის, იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიული დონის მუდმივ ზრდაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა.

29.[2]2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R36).

მუხლი 29.[3] სტრატეგიული განვითარების სამსახური

29.[3].1 სტრატეგიული განვითარების სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უნივერსიტეტის საქმიანობასთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული მონაცემების მოძიების, შეგროვებისა და დამუშავების გზით ახორციელებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებას, რომლის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

29.[3].2 სტრატეგიული განვითარების სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 12 ივლისის №71 ბრძანებით.

თავი VI. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)

მუხლი 30. საქმიანობის სფერო და სტრუქტურა

30.1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ეხმარება რექტორს უნივერსიტეტის მართვაში ადმინისტრაციული-საფინანსო მიმართულებით.

30.2. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

30.3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში შედის კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური, არქივი, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური, იურიდიული სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი, მედიაცენტრი, ბუღალტერია, შესყიდვების მენეჯერი, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, კარიერის დაგეგმვის სამსახური, IBSU აკადემია, შრომის უსაფრთხოების სამსახური, მომსახურების სამსახური, სპორტისა და კულტურული აქტივობების სამსახური.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით

ვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

30.4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულები პასუხისმგებლები არიან კანცლერის წინაშე.

მუხლი 31. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)

31.1. კანცლერი არის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც უნივერსიტეტს წარმოადგენს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

31.2. კანცლერის ფუნქციები:

31.2.1. უზრუნველყოფს მის სტრუქტურაში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ეფექტურ, მოწესრიგებულ და სათანადო მუშაობას;

31.2.2. მონიტორინგს უწევს შესყიდვების განხორციელებას;

31.2.3. ახორციელებს უნივერსიტეტის ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონების, ადმინისტრაციული ადამიანური რესურსებისა და ფინანსური წყაროების მართვას;

31.2.4. ახორციელებს წლიური ბიუჯეტის მართვას;

31.2.5. ახორციელებს მის სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების კონტროლს და შრომის გადანაწილებას, უზრუნველყოფს სამუშაო დისციპლინას და თანამშრომელთა მუდმივი განვითარების ხელშეწყობას;

31.2.6. მის სტრუქტურაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სრულყოფილი განხორციელებისა და განვითარებისათვის ატარებს სათანადო ღონისძიებებს;

31.2.7. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 32. კანცელარია და არქივი

32.1. კანცელარია უზრუნველყოფს უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის პროცესის კონტროლს, ასევე ახორციელებს საარქივო საქმიანობას.

32.2. კანცელარიის ფუნქციები და მისი სტრუქტურა განსაზღვრულია კანცელარიის დებულებით (R1I2).

32.3. კანცელარია საქმისწარმოებას ახორციელებს ,,საქმისწარმოების ერთიანი წესებით“ (R24I1).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 32[1] ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური

32.[1].1 ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური აწარმოებს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება–გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აქტიურ თანამშრომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იმპლემენტაციასა და ზედამხედველობას.

32.[1].2 ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის ფუნქციები და მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის დებულებით (R1I2).

32.[1].3 ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს ,,პერსონალის მართვის პოლიტიკით“ (R24) დადგენილი წესით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 33. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

33.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობისა და პროცესების ტექნიკური და სისტემური მხარდაჭერა და იზრუნოს მათ მუდმივ განვითარებაზე.

33.2. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე და ასრულებს მის სამსახურებრივ მითითებებსა და დავალებებს.

33.3. სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

მუხლი 34. ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური

34.1. ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობისა და პროცესების პროგრამული მხარდაჭერა მონაცემთა ბაზების მიმართულებით და იზრუნოს მათ მუდმივ განვითარებაზე.

34.2. ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე და ასრულებს მის სამსახურებრივ მითითებებსა და დავალებებს.

34.3. სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R24I2).

მუხლი 35. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით

მუხლი 36. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი

36.1. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრზე პასუხისმგებელი პირი არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რეესტრის წარმოებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

36.2. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრზე პასუხიმგებელი პირი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის კანცლერის წინაშე. მისი ფუნქციები განისაზღვრება მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 37. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 38. იურიდიული სამსახური

38.1. იურიდიული სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმიანობის წარმართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

38.2. იურიდიული სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

მუხლი 39. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი

39.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიან ურთიერთობებს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო, არასამთავრობო, კომერციულ სტრუქტურებთან და მასმედიასთან, ახორციელებს შესაბამის სარეკლამო საქმიანობას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადოებრივ, კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებში, უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ოფიციალური ვიზიტების ორგანიზებასა და განხორციელებას.

39.2. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის ფუნქციები და სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 39[1]. IBSU აკადემია

39[1].1. IBSU აკადემია არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის თანამშრომელთა და მესამე პირთა პროფესიულ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

39[1].2. IBSU აკადემიის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 39[2]. კარიერის დაგეგმვის სამსახური

39[2].1. კარიერის დაგეგმვის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების სტაჟირებასა და ზრუნავს მათ მომავალ დასაქმებაზე.

39[2].2. კარიერის დაგეგმვის სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია დასაქმების სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №110 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 40. ბუღალტერია

40.1. ბუღალტერია არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საბუღალტრო საქმესა და ფინანსებთან დაკავშირებულ უნივერსიტეტში განხორციელებულ ყველა ოპერაციას.

40.2. ბუღალტერიის ფუნქციები და მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ბუღალტერიის დებულებით (R1I2).

მუხლი 41. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური

41.1. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნებას საგანმაანთლებლო პროგრამების განვითარებისათვის მათი ჩართულობის მიზნით.

41.2. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით (R1I2).

მუხლი 42. შრომის უსაფრთხოების სამსახური

42.1. შრომის უსაფრთხოების სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხიმგებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თანამშრომელთა, სტუდენტთა და მესამე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვაზე.

42.2. შრომის უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებულია კანცლერის წინაშე. იგი პასუხისმგებელია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების უსაფრთხო განხორციელებისათვის საჭირო რისკების შეფასებისა და შეფასების შედეგების უფლებამოსილი პირებისათვის მიწოდებაზე შემდგომი რეაგირების მიზნით.

42.3. ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში შრომის უსაფრთოების სამსახურის წარმომადგენლის მიერ გაცემული მითითებების შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისათვის.

42.4. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულებით (R1I2).

მუხლი 43. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 44. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 45. სპორტისა და კულტურული აქტივობების სამსახური

45.1. სპორტისა და კულტურული აქტივობების სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და თანამშრომელთათვის სპორტული, კულტურული და მხატვრული ღონისძიებების ორგანიზებას და მომზადებას. ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე სხვა კურიკულუმის გარეშე აქტივობების (მათ შორის, საჯარო ლექციების, შეხვედრების) ორგანიზებას.

45.2. სპორტისა და კულტურული აქტივობების სამსახურის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია ამავე სამსახურის დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №308 ბრძანებით.

მუხლი 46. მომსახურების განყოფილება

46.1. მომსახურების განყოფილება არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალსა და სტუდენტებს პირველადი სამედიცინო დახმარებით, ასევე უზრუნველყოფს ლოჯისტიკას, შესყიდვებს, სამეურნეო-სარემონტო მომსახურებას, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების განხორციელებასა და უსაფრთხოებას.

46.2. მომსახურების განყოფილების ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია მომსახურების განყოფილების დებულებით (R1I2).

მუხლი 46[1] მედიაცენტრი

46[1].1 მედია ცენტრი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც მულტიმედიური პლატფორმის გამოყენებით ქმნის მედიაპროდუქტებს.

46[1].2 მედიაცენტრის ფუნქციები, ასევე მისი სტრუქტურა განსაზღვრულია მომსახურების განყოფილების დებულებით (R1I2).

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №355 ბრძანებით.

თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 47. გარდამავალი დებულებები

47.1. წინამდებარე დებულების 23-ე მუხლით გათვალისწინებული წესით სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის არჩევნების ჩატარებამდე, ზემოაღნიშნული საბჭოების 23-ე მუხლის 23.1 პუნქტით განსაზღვრული შემადგენლობა (ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური წარმომადგენლის გარეშე) ჩაითვალოს უფლებამოსილად.

47.2. დაევალოს 51.1 პუნქტში მითითებულ ფაკულტეტებს უზრუნველყონ ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის არჩევნების ჩატარება, წინამდებარე დებულების 23-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, არაუგვიანეს 2019 წლის 15 სექტემბრისა.

47.3. წინამდებარე დებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესით, აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმომადგენლის განსაზღვრამდე, აკადემიური საბჭოს 9.2 პუნქტით განსაზღვრული შემადგენლობა (აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის გარეშე) ჩაითვალოს უფლებამოსილად.

47.4. დაევალოს ყველა ფაკულტეტს უზრუნველყონ აკადემიურ საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის განსაზღვრა არაუგვიანეს 2019 წლის 15 სექტემბრისა.

47.5. 2021 წლის 01 ნოემბრამდე არჩეული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება უნარჩუნდებათ დარჩენილი ვადით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

47.6. 2021 წლის 01 ნოემბრამდე არჩეული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს, რომლებსაც უფლებამოსილება შეუწყდათ ვადის გასვლის გამო, გაუგრძელდეთ უფლებამოსილებამოსილება ვადის გასვლიდან ახალი არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე პერიოდით.

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის №117 ბრძანებით.

მუხლი 48. დასკვნითი დებულებები

48.1. კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დებულებაში მოცემული ადმინისტრაციული თანამდებობებისაგან განსხვავებული თანამდებობა.

48.2. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე შინაგანაწესით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.

48.3. წინამდებარე შინაგანაწესი ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.

48.4. წინამდებარე შინაგანაწესში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით.

48.5. წინამდებარე შინაგანაწესის შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება რექტორის მიერ.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს იბსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

იბსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. საზოგადოების ყველა წევრს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს უკეთესი განათლება, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, გვარის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, მენტალური, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

<u>გამოსცა:</u>

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

<u>www.ibsu.edu.ge</u>

contact@ibsu.edu.ge

IBSU